მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.10.10.025.438**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882026335980 - 23/04/2026 16:58:14

მომზადების თარიღი
28/04/2026 12:26:00

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	საბურთალო		
01	**10**	**10**	**025/438**

მისამართი: ქალაქი თბილისი, აკაკი ბაქრაძის ქუჩა, N 10

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 1909.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**01.10.10.025.026; 01.10.10.025.437;**
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:N1; N2 ;N3

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882025905418 , თარიღი 04/08/2025 13:20:28
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 04/08/2025

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:27/07/2023 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:28/07/2023 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:01/08/2011 , საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- თანხმობა , დამოწმების თარიღი:04/08/2025 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- სამკვიდრო მოწმობა N240217779 , დამოწმების თარიღი:22/02/2024 ,ნოტარიუსი ნინო დავითაშვილი
- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:27/11/2024 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- შეთანხმება , დამოწმების თარიღი:04/08/2025 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:10/10/2024 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
ვახტანგ ჩიხრაძე,P/N: 01026000613
თეიმურაზ ჩიხრაძე,P/N: 01026010218

მესაკუთრე:
თეიმურაზ ჩიხრაძე
ვახტანგ ჩიხრაძე

აღწერა:

იპოთეკა

1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882023801066 თარიღი 29/07/2023 13:44:38

იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი"204378869;

საგანი:დაზუსტებული ფართობი: 680.00 კვ.მ.;

იპოთეკის ხელშეკრულება N19123300-02, დამოწმების თარიღი: 29/07/2023,, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.,

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 02/08/2023

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882010465027 თარიღი 03/02/2010 12:15:30

საგანი: 262.00 კვ.მ. დატვირთულია სერვიტუტით: აქედან 164.00 კვ.მ.- წყალგაყვანილობის გასხვისების ზოლი(რეგ. N8568/2002; N8567/2002) , ხოლო 98.00 კვ.მ. მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილების ტერიტორია (რეგ. N4678/2000);

წერილი, რეესტრის ნომერი N16-01260293013, დამოწმების თარიღი29/01/2026, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 16/02/2010

ვალდებულება

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882026297619 თარიღი 08/04/2026 12:16:43

მომავალი მესაკუთრე: შპს "არსენალი სანაპირო " 406529948;

საგანი:დაზუსტებული ფართობი: 1909.00 კვ.მ და შენობა-ნაგებობები: N1; N2 ;N3 ; ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების პირობით;

წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი16/04/2026, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 17/04/2026

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882026336067 თარიღი 23/04/2026 17:09:06

საგანი:შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ პერიოდში შენობა-ნაგებობაში არსებული საზოგადოებრივი ფუნქციის ცვლილება მისი შემცირების მიზნით დაუშვებელია.;

გადაწყვეტილება, რეესტრის ნომერი N7889984, დამოწმების თარიღი21/04/2026, ელექტრონული ხელმოწერა

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 27/04/2026

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

- ფიზიკური პირის მიერ არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული ქონების/აქტივის მიწოდებით ნამეტი შემოსავლის მიღების შემთხვევაში ფიზიკური პირი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარულგინოს დეკლარაცია საშემოსავლო გადასახადის შესახებ და ამავე ვადაში გადაიხადოს კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი.
- საგადასახადო წლის განმავლობაში გადახდის წყაროსთან დაუკავებლად 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარულგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს.
- აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საგადასახადო კოდექსის XL თავის მიხედვით.
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება

ქ. თბილისი 12 მარტი 2026

ერთი მხრივ - ფიზიკური პირი **ვახტანგ ჩიხრაძე** (პ/ნ 01026000613), წარმოდგენილი თეიმურაზ ჩიხრაძის (პ/ნ 01026010218) სახით (მინდობილობა N260309962. 11.03.2026) და ფიზიკური პირი **თეიმურაზ ჩიხრაძე** (პ/ნ 01026010218), შემდგომში ერთად მოხსენიებული, როგორც მესაკუთრე,

და მეორე მხრივ - შპს „არსენალი სანაპირო“ (ს/კ 406529948), შემდგომში მოხსენიებული, როგორც ინვესტორი, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ლევან ქარუმიძის** მიერ (პ/ნ 01011008714)

წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით გამოხატავენ თავიანთ ნამდვილ ნებას, გაიზიარონ ამ ხელშეკრულებაში მოცემული პირობები და შეასრულონ ამავე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები,

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მესაკუთრის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მდებარე: ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, რესტორან „ვენეცია“ - სთან, (ნაკვეთი 25/47), დიღმის მასივი, II კვარტალი მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ს/კ 01.10.10.025.438 (შემდგომში - ნაკვეთი) - ინვესტორის მიერ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შექმნა და ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის აღება სრულ სამშენებლო სამუშაოებზე, ასევე პროექტის განხორციელებისათვის შესაბამისი ინვესტიციის მოზიდვა და სამშენებლო სამუშაოების შესრულება.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. მხარეები თანხმდებიან და იღებენ ვალდებულებას, რომ გააფორმებენ ძირითად ნასყიდობის ხელშეკრულებას ინვესტორის მიერ ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე,

წინამდებარე ხელშეკრულების **პირველი** პუნქტის შესაბამისად არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის აღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

2.2. ინვესტორი ვალდებულია:

2.2.1. წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 8 თვის განმავლობაში ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურთან შეათანხმოს წინამდებარე ხელშეკრულების **პირველი** პუნქტის შესაბამისად მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო პროექტი და მიიღოს მშენებლობის ნებართვა სრულ სამშენებლო სამუშაოებზე.

2.2.2. გადასცეს მესაკუთრეს მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნასყიდობის სანაცვლოდ, იმავე მიწის ნაკვეთზე ინვესტორის მიერ აშენებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში სრული სარეალიზაციო - საცხოვრებელი ფართის 30%, კომერციული ფართის 30%, ავტოსადგომების ფართის 30% და დამხმარე ფართის 30%. ფართი გადასცეს - თეთრი კარკასის მდგომარეობაში. (სარეალიზაციო ფართი – ფართი აივნებით, ტერასებით, არ შედის სადარბაზო, ლიფტი, და სხვა დამხმარე ფართები). მესაკუთრისთვის გადასაცემი თანხა, ფართების ზუსტი რაოდენობა, განლაგება და მდებარეობა დადგინდება ძირითადი ხელშეკრულების საფუძველზე.

2.2.3. მესაკუთრესთან შეათანხმოს სამშენებლო პროექტი (ვიზუალი) და მხოლოდ ამის შემდეგ შეათანხმოს ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურთან.

2.2.4. მესაკუთრე ვალდებულია არ მოახდინოს მის საკუთრებაში არსებული ნაკვეთის გასხვისება ან უფლებრივად დატვირთვა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან ძირითადი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე. აღნიშნული შეზღუდვა ჩაიწერება მესაკუთრის საჯარო რეესტრის ამონაწერის ვალდებულების გრაფაში.

2.2.5. მესაკუთრე ვალდებულია 2.2.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში გააფორმოს ინვესტორთან ძირითადი ნასყიდობის ხელშეკრულება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით.

2.2.6. მესაკუთრე ვალდებულია ხელი შეუწყოს ინვესტორს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში.

3. მხარეთა პასუხისმგებლობა.

3.1. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

3.2. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის და ანაზღაურებენ ამ ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ ზარალს, თუ ასეთს ჰქონდა ადგილი.

3.3. ინვესტორის მიერ მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებული მშენებლობის ვადების დარღვევის ან გაჭიანურების შემთხვევაში, საჯარიმო სანქციებთან და ხელშეკრულების შესაძლო შეწყვეტასთან დაკავშირებული საკითხები დეტალურად გაიწეროს ძირითად ნასყიდობის ხელშეკრულებაში.

4. ფორს-მაჟორი

4.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

4.2. „დაუძლეველი ძალის“ ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ. კერძოდ, წყალდიდობა, მიწისძვრა, ომი და საომარი მოქმედებები. ასევე კანონმდებლობაში ცვლილებები და ადმინისტრაციული აქტები, რომელიც მხარეებს არ შეეძლოთ წინასწარ გაეთვალისწინებინათ (მაგალითად მორატორიუმის გამოცხადება სამშენებლო პროექტების შეთანხმებაზე და ა.შ.)

4.3. თუ ნებისმიერი ზემოთ ნახსენები გარემოებები უშუალოდ იმოქმედებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროის თანაბარზომიერად გაიზრდება.

4.4. მხარემ, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება ვალდებულია დაუყოვნებლივ,

მაგრამ ყველა შემთხვევაში არა უგვიანეს ხუთი დღისა ამ გარემოებების დადგომიდან და დასრულებიდან, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს.

4.5. შეუტყობინებლობის და დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში მხარე კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს.

5. დავები

მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქმეს განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. გასაფორმებელი ძირითადი ნასყიდობის ხელშეკრულების პირობები

6.1. მხარეები წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისთანავე თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში თუ გააფორმებენ ძირითად ნასყიდობის ხელშეკრულებას, მასში ჩადებული იქნება შემდეგი ძირითადი პირობები:

6.2. ინვესტორს წარმოეშვება მიწაზე შეზღუდული საკუთრების უფლება, რაც გულისხმობს იმას, რომ იგი ვერ მოახდენს მიწის ნაკვეთის და შემდგომში აშენებული შენობის იპოთეკით დატვირთვას, გასხვისებას, უფლებრივად სხვაგვარად დატვირთვას თუ განკარგვას მესაკუთრის წერილობითი თანხმობის გარეშე.

6.3. მხარეები თანხმდებიან, რომ შენობის – კონკრეტული ბლოკის შეზღუდული ვალდებულებისაგან განთავისუფლება მესაკუთრის თანხმობით მოხდება შემდეგი თანმიმდევრობით და ოდენობით მხარეთა ურთიერთშეთანხმებით:

- საძირკვლის ფილის ჩასხმის, ფართების განშლის გაკეთების და კონკრეტულ ბლოკში მესაკუთრეზე გადასაცემი ფართის მესაკუთრის საჯარო რეესტრში მომავალ მესაკუთრედ რეგისტრაციისთანავე – სრული სარეალიზაციო ფართის 20%;

- ავტოსადგომის დონისა და პირველი სართულის კარკასული ნაგებობისის დასრულებისთანავე – სრული სარეალიზაციო ფართის 20%;

- პროექტით გათვალისწინებული სრული კარკასული ნაგებობის დასრულებისთანავე – სრული სარეალიზაციო ფართის 20%;

- ფასადის კედლების ბლოკით შევსებისა, მეტალო-პლასმასის ფანჯრების ჩასმის დასრულებისა და მესაკუთრეზე გადასაცემი ფართის საჯარო რეესტრში მესაკუთრის მესაკუთრედ რეგისტრაციისთანავე – სრული სარეალიზაციო ფართის 20%;

- არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული გარე ფასადის სამუშაოების სრულად დამთავრებისთანავე – სრული სარეალიზაციო ფართის 10%.

- ინვესტორის მიერ ხელშეკრულების გათვალისწინებული ყველა ვალდებულების შესრულებისთანავე –სრული სარეალიზაციო ფართის 10%.

ზემოაღნიშნული ეტაპებით გათვალისწინებული შეზღუდვის მოხსნა უნდა დაფიქსირდეს მესაკუთრის წარმომადგენლის ხელმოწერით. აღნიშნულზე მესაკუთრის მხრიდან უარის შემთხვევაში, ინვესტორი იტოვებს უფლებას მიმართოს სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს და მოითხოვოს მისგან შესაბამისი სამშენებლო ეტაპის დადასტურება. მხარეები თანახმა არიან, რომ ესპერტიზის ეს დადასტურება საკმარისი იქნება საჯარო რეესტრისათვის რათა მოიხსნას შესაბამისი შეზრუდვა.

6.4. მესაკუთრის მიერ მისაღები ფართი განისაზღვრება შემდეგნაირად: ფართების განლაგება და ბინების ზუსტი კვადრატულობა განისაზღვრება არქიტეტურული პროექტის დამტკიცების შემდეგ, მხარეთა შორის ძირითადი ნასყიდობის ხელშეკრულებით.

7. დამატებითი პირობები

7.1. მხარეები განმარტავენ, რომ ასაშენებელი ფართი მესაკუთრეს უნდა ჩაბარდეს შემდეგ მდგომარეობაში:

7.1.1. შენობის გარე ფასადი და სადარბაზო დასრულებული პროექტის შესაბამისად;

7.1.2. შენობის კიბის უჯრედები და მოაჯირები დასრულებული;

7.1.3. ლიფტები (სამგზავრო) დამონტაჟებული და ექსპლუატაციაში შესული;

7.1.4. შენობის პერიმეტრზე ჩასმული ალუმინის კარ-ფანჯარა;

7.1.5. ბინაში შესასვლელი რკინის კარი დამონტაჟებული;

7.1.6. ბინებს შორის გამყოფი კედლები აშენებული პემზის ბლოკით და ხმის იზოლაციის მიზნით მოპირკეთებული აკუსტიკური ფილით.

7.1.7. ბინის შიდა პერიმეტრზე ტიხრები აშენებული პემზის ბლოკით და მოპირკეთებული გიფსით, გიპერით ან გიფსო ფილებით მყიდველთან შეთანხმებული პროექტის შესაბამისად;

7.1.8. ხმის იზოლაციის ფენით უზრუნველყოფილი მოჭიმული იატაკი;

7.1.9. წყლის, ელ.ენერგიის და გაზის მრიცხველები დამონტაჟებული;

7.1.10. ბინაში წყლის და კანალიზაციის დგარები მიყვანილი;

7.1.11. ბინაში ელ. ენერგია შეყვანილი და ელექტრო წერტილები დამონტაჟებული მყიდველთან შეთანხმებული პროექტის შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს ოთახში 6 წერტილისა (წერტილში იგულისხმება - განათების ჩამრთველ-გამომრთველი კლავიში, როზეტი და ძაბვის ჩამრთველი);

7.1.12. ბინაში გათბობის სისტემის მილები გაყვანილი მყიდველთან შეთანხმებული პროექტის შესაბამისად;

7.1.13. კონდენციონერის დანადგარის წყლის საწვეთური ჩაშენებული კედელში;

7.1.14. კერამოგრანიტით მოპირკეთებული აივანი, ლითონის ან შუშის მოაჯირები დამონტაჟებული.

7.2 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სრული მშენებლობის და მისი სრულად დასრულების ვადა არის მშენებლობის ნებართვის მიღებიდან 3 წელი, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

7.3. მხარეები ვთანხმდებით, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ნებისმიერი სახის ხარჯი, რაც დაკავშირებულია ინვესტორის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან, გაიღებს ინვესტორი თავისი სახსრებით. შესაბამისად, ინვესტორის მიერ გაღებული ხარჯები არ ანაზღაურდება მესაკუთრის მიერ, მათ შორის წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში.

7.4. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ძირითადი ნასყიდობის ხელშეკრულების დადებამდე პერიოდით. ამ ვადის გასვლის შემდეგ წინამდებარე ხელშეკრულება ავტომატურად შეწყვეტილად ითვლება, თუკი მხარეებს შორის არ დაიდო ძირითადი ნასყიდობის ხელშეკრულება ან მხარეები სხვა რამეზე დამატებით წერილობით არ შეთანხმდებიან.

7.5. ყველა ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში ძალაშია წერილობით გაფორმებისა და ორივე მხარის მიერ ხელმოწერის შემდეგ.

7.6. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 იდენტურ ეგზემპლიარად, თითო ყოველი მხარისათვის.

8. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

მესაკუთრე

თეიმურაზ ჩიხრაძე

ინვესტორი

შპს „არსენალი სანაპირო“ (ს/კ 406529948)

დირექტორი - ლევან ქარუმიძე

ვახტანგ ჩიხრაძე

წარმომადგენელი - თეიმურაზ ჩიხრაძე